

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
GEORGIAN BAR ASSOCIATION

WWW.GBA.GE



GBA-Newsletter

მარტი 2017

ქართველი ადვოკატების გამოცდილებას კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოჰყვა



9-10 მარტს, თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, თურქულენოვან და მონათესავე ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებების გენერალური ასამბლეა გაიმართა, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და შუა აზიის ქვეყნის თექვსმეტი ადვოკატთა ეროვნული ორგანიზაცია მონაწილეობდა.

გენერალური ასამბლეის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციამ. გენერალურმა ასამბლეამ ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო, აირჩია აღმასრულებელი საბჭო და ადვოკატთა საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები.

სასიხარულოა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების მდივანი ბ-ნი დავით ასათიანი ერთხმად იქნა არჩეული ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ქართველი ადვოკატების გამოცდილების აღიარებას საერთაშორისო დონეზე.

ასამბლეას, საპატიო სტუმრის სტატუსით, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს–CCBE-ის ვიცე-პრეზიდენტი ესწრებოდა, რომელმაც ახლადშექმნილი პროფესიული გაერთიანების მიმართ ევროპელი ადვოკატების მხარდაჭერა დაადასტურა.

ქართველი ადვოკატებისთვის სტრასბურგის სასამართლოს ექსპერტებთან ონლაინ ტრენინგი გაიმართა



30 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპულ სასამართლოსთან (სტრასბურგი–თბილისი) ტელეხიდის მეშვეობით ონლაინ ტრენინგი გაიმართა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ნერგავს ტრადიციას და უკვე მესამედ ქართველ ადვოკატებს შესაძლებლობას აძლევს ონლაინ ტრენინგში მიიღონ მონაწილეობა.

სასამართლოს ექსპერტებმა ქართველ ადვოკატებს შესთავაზეს ორსაათიანი სწავლება, ევრო სასამართლოში წარსადგენი განაცხადის ახალი ფორმისა და სარჩელების დასამუშავების კრიტერიუმების შესახებ. ტრენინგზე ასევე განხილეს ევროსასამართლოს დიდი პალატის უახლესი პრაქტიკაც.

ადვოკატებმა, მოსამართლეებმა და პროკურორებმა აქტუალურ თემებზე იმსჯელეს



22 მარტს სასტუმროში „რუსი“ სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაზრდილ იურისდიქციას, არსებულ გამოცდილებას და გამოწვევებს ეხებოდა.

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ კრისტიან ურსე საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი, პიტერ დენისი ატაშე, იუსტიციის პროგრამის მენეჯერი, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, დავით ასათიანი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობის მდივანი, გიორგი გოგაძე საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა დათუნა მოდებაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში არსებული გამოცდილება და გამოწვევები. ასევე გაიმართა მსჯელობა თემებზე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ჭრილში, მოსამართლის როლი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ევროპაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - ამერიკული გამოცდილება.

დისკუსიაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრებმა, საქართველოს პროკურატურის და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

შეხვედრა ორგანიზებული იყო ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“ მიერ.

ტრენინგი ბათუმში



19 და 20 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრებისა და აკრედიტებული სასამართლო მედიატორების დავით ასათიანის და ირაკლი ყანდაშვილის მიერ ბათუმში მოქმედი ადვოკატებისთვის ჩატარდა ტრენინგი “ადვოკატის როლი მედიაციაში”.

ტრენინგი ეხებოდა სასამართლო მედიაციის არსს, როგორც დავის გადაწყვეტის ახალ ალტერნატიულ მექანიზმს ქართულ სამართლებრივ სივრცეში და ადვოკატის როლს, ფუნქციებს მედიაციის პროცესში კლიენტის ინტერესების დასაცავად.

ტრენინგები მხარდაჭერილი იყო გაეროს განვითარების პროგრამის მიერ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ სტრასბურგში ადვოკატთა ინსტიტუციური დევნა გააპროტესტა



18 მარტს ანაკლიაში ადვოკატებმა, მოსამართლეებმა და პროკურორებმა Bench-Bar-ის ფორმატში შეხვედრა გამართეს სადაც აღკვეთის ღონისძიებები, მტკიცებულებების დასაშვებობა და მოპოვება, წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების პრობლემური საკითხები განიხილეს.

Bench-Bar-ის მუშაობას ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი უძღვებოდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ადვოკატები, მოსამართლეები და პროკურორები, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები. აღინიშნა, რომ ასეთი ღონისძიებები, სხვადასხვა იურიდიული პროფესიების ჩართულობით, აუცილებელია ქვეყანაში ხარისხიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის.

შეხვედრა მხარდაჭერილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის მიერ.

ადვოკატის პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწასთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა



03 მარტს სასტუმროში „ბილტმორი“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ პარლამენტის, იუსტიციის საბჭოს, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების და ადვოკატების მონაწილეობით პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები განიხილეს.

შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ეკატერინე ბესელიამ გახსნეს.

ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივნის დავით ასათიანის პრეზენტაცია შეეხო: კონსტიტუციის 42-ე მუხლის ჩანაწერის ცვლილებას, რომლის მიხედვითაც: „ყველა პირს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი უფლებები და თავისუფლებები პირადად ან/და ადვოკატის მეშვეობით, ხოლო, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე“. ადვოკატების მოსაზრებით, მოქალაქეთა დაცვისა და უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლებას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული დემოკრატიის არსებობისათვის. ამასთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

სურვილია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში დაფიქსირდეს ტერმინი - „ადვოკატი“.
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აგრეთვე, გამოდის ინიციატივით, რომ ადვოკატთა უფლებები კონსტიტუციის დონეზე იყოს დაცული, აღნიშნული კი განხორციელდეს საქართველოს კონსტიტუციის ახალი 911 მუხლის დამატებით, სადაც დაფიქსირდება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს, რომ ადვოკატებმა შეასრულონ თავიანთი პროფესიული ფუნქციები დამინების, დაბრკოლების და სხვა არასათანადო ჩარევის გარეშე.

ასევე, ინიცირებულ იქნა ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის დებულებებში, რომლის საფიქველზედაც 1-ლი ინსტანციის სასამართლოში მხარის წარმომადგენლობის უფლება ექნება მხოლოდ ადვოკატს.

შეხვედრაზე დისკუსია გაიმართა ადვოკატთა შესახებ კანონში ეთიკის ნორმების და ადვოკატის გამოცდის/განათლების ნორმების ცვლილებების შესახებ.

შეხვედრა ორგანიზებული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის (EWMI/PROLoG) პროგრამის მიერ.

სასწავლოცენტრი

2017 წლის მარტში განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი

- 1 მარტი – სამედიცინო დავაბის პრობლემური საკითხები.
- 2 მარტი – ეკონომიკური დანაშაულები.
- 4–5 მარტი – ტრენერთა ტრენინგი სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა.
- 6 მარტი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი.
- 7 მარტი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.
- 10 მარტი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.
- 10 მარტი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 13 მარტი – სამედიცინო დავაბის პრობლემური საკითხები.
- 13–14 მარტი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 15 მარტი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.
- 15–16 მარტი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 16 მარტი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 17–18 მარტი – ტრენერთა ტრენინგი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები.
- 20–21 მარტი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 23–24 მარტი – დისკრიმინაციასთან ბრძოლის ევროპული სტანდარტები.
- 24 მარტი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.
- 28–29 მარტი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.

ქუთაისი

- 14 მარტი – სამედიცინო დავაბის პრობლემური საკითხები.
- 22 მარტი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.

ბათუმი

- 9 მარტი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.
- 19 მარტი – მედიაცია.
- 20 მარტი – მედიაცია.

თელავი

- 9 მარტი – შეზრუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.

2017 წლის აპრილში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი

- 3 აპრილი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი;

- 3 აპრილი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- 5 აპრილი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 6 აპრილი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- 7 აპრილი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- 8 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 10–11 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 11 აპრილი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 12–13 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 20 აპრილი – ეკონომიკური დანაშაულები;
- 24 აპრილი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი;
- 24 აპრილი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 25 აპრილი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში;
- 25–26 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 26 აპრილი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში;
- 27–28 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 28 აპრილი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა.

ბათუმი

- 3 აპრილი – მედიაცია;
- 4 აპრილი – მედიაცია;
- 19 აპრილი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.

ქუთაისი

- 5 აპრილი – მედიაცია;

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708 ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33

თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: info@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: info.qutaisi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: info.telavi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: info.batumi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33